სს საქართველოს ბანკი 4290824	libor+7.2%	ევრო	22.03.2022	321,420	1,215,774
სს საქართველოს ბანკი 4577599	7%	აშშ დოლარი	06.07.2024	46,014	323,803
სს საქართველოს ბანკი 4899567	10%	ლარი	10.01.2018	200,000	-
სხვა		ლარი		2,622	-
				1,732,760	2,806,498
გადასახდელი ძირი				3,809,108	4,463,329
გადასახდელი პროცენტი				41,949	75,929
				3,851,057	4,539,258

სესხების რეკონსილაცია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,539,258
მიღებული სესხები	5,324,637
დარიცხული პროცენტი	304,562
სესხების დაფარვა	(6,025,162)
გადახდილი პროცენტი	(277,475)
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა	(14,763)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,851,057

სესხების რეკონსილაცია 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,937,963
მიღებული სესხები	2,175,348
დარიცხული პროცენტი	366,516
სესხების დაფარვა	(1,822,354)
გადახდილი პროცენტი	(300,082)
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა	181,867
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,539,258

ჯგუფის მიღებული სესხების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებიდან. მიღებული სესხებში ვალუტების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკითაა დატვირთული ჯგუფის ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება (შენიშვნა 12 და 14). სესხი ასევე უზრუნველყოფილია ჯგუფის დამფუძნებლის უძრავი ქონებით, რომელიც არ არის ჯგუფის საკუთრება.

ჯიუთქს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

19. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 380,478 და 532,846 ლარის ოდენობით, როგორც საგადასახადო ვალდებულება, შესაბამისად.

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	5,325,292	7,027,207
	5,325,292	7,027,207
არაფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი ხელფასები	254,415	37,336
მიღებული ავანსები	92,992	64,960
	347,407	102,296
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,672,699	7,129,503

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

21. პირობითი ვალდებულებები

მომავალში გადასახდელი საიჯარო ქირა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
1 წლის განმავლობაში	5,046,049	4,013,831	3,811,829
1 დან 5 წლამდე	17,330,177	7,228,557	9,348,211
5 წლის ზემოთ	1,844,093	2,905,817	3,743,757
	24,220,319	14,148,205	16,903,797

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) ჯგუფს აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის, ჯგუფს არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

ჯიუთქს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:	627,015	458,527
მოკლევადიანი გასამრჯელო	627,015	458,527

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვაჭრობა ტანსაცმლით, აქსესუარებით და ავეჯით. საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი საქონელზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებებს. შესაბამისად ჯგუფი მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის

ჯიუთქს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	50
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5
ავტოტრანსპორტი	5-7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
საოპერაციო და საბუღალტრო პროგრამები	9
იჯარის უფლება	37

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა. ვალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რის შედეგად საწარმოს არა აქვს, ამ ვალდებულების დაფარვის გარდა, რეალური ალტერნატივა. იურიდიული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება: ა) კონტრაქტის (კონტრაქტში მოცემული ან ნაგულისხმევი პირობების); ბ) კანონმდებლობის; ან გ) კანონის სხვა მოქმედების შედეგად.

კონსტრუქციული მოვალეობა არის მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს საქმიანობის შედეგად, როდესაც:

ა) წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის, საწარმოს პოლიტიკის ამსახველი გამოქვეყნებული დოკუმენტების ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადების საშუალებით საწარმომ სხვა მონაწილე მხარეებს აჩვენა, რომ იგი მომავალში აღიარებს გარკვეულ ვალდებულებას; და

ბ) შედეგად საწარმომ შექმნა სამართლიანი მოლოდინი იმისა, რომ იგი მხარეთა წინაშე დააკმაყოფილებს ამ ვალდებულებას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნესი მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება ჯგუფს, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადები საკრედიტო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის პერიოდის განმავლობაში. მიღებული საიჯარო შეღავათების აღიარება ხორციელდება, როგორც სრული საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილი იჯარის ვადის განმავლობაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს ჯითექსი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის



შპს ჯითექსი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.....	1
ზოგადი ინფორმაცია.....	2
ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა.....	2
<i>ჯგუფის განვითარების გეგმები.....</i>	2
<i>ჯგუფის ფილიალების საქმიანობა.....</i>	2
<i>კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....</i>	3
<i>ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....</i>	3
ჯგუფის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	4

შპს ჯითექსი

**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ლარში**

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

ჯითექსი ჯგუფის დამფუძნებელს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 12 სექტემბერს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

27 სექტემბერი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

ჯითექსი ჯგუფის დამფუძნებელს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 12 სექტემბერს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

27 სექტემბერი 2019

შპს ჯითექსი

**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ლარში**

ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯითექსი დაარსდა 2007 წლის 7 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონის და კომპანიის წესდების საფუძველზე.

ჯგუფი შედგება შპს ჯითექსისგან (მშობელი კომპანია) და მისი 100%-იანი შვილობილი კომპანიებისგან შპს „ჯი-სტუდიო“-სგან და შპს „ტატი ჯორჯია“-სგან (შემდეგში შვილობილი კომპანიები). გამომდინარე იქიდან, რომ შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული საოპერაციო საქმიანობა არ არის მატერიალური ჯითექს ჯგუფის მასტაბით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება თანაბრად რელევანტურია როგორც ინდივიდუალურად შპს ჯითექსისთვის, ასევე ჯითექს ჯგუფისთვის და შესაბამისად არ წარდგება ცალ-ცალკე.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ტანსაცმლით, აქსესუარებით და ავეჯით ვაჭრობა.

შპს „ჯი-სტუდიოს“ საქმიანობის სფეროა საცალო ვაჭრობა ელექტრო ჟალუზიებით. კომპანიის წლიური ბრუნვა არ აღემატება 23 ათას ლარს (დამრგვალების გარეშე) შესაბამისად მისი წილი ჯგუფის საქმიანობაში არაარსებითია.

შპს „ტატი ჯორჯია“-ს დაარსებისას მისი საქმიანობის მიზანი იყო საცალო ვაჭრობა ტანსაცმლით, აქსესუარებით და ტექსტილით, თუმცა ამ კომპანიას არ განუხორციელებია საქმიანობა, შესაბამისად ეს კომპანიაც არაარსებითია ჯგუფისთვის.

ჯგუფი თავის საოპერაციო პერიოდს ყოფს წელიწადში ორ სეზონად - გაზაფხული - ზაფხული და შემოდგომა-ზამთარი. გაზაფხული-ზაფხულის სეზონის პერიოდია 1 აპრილი - 30 სექტემბერი, ხოლო შემოდგომა-ზამთრის 1 ოქტომბერი - 31 მარტი.

ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა**ჯგუფის განვითარების გეგმები**

ჯგუფის განვითარების გეგმები არ ითვალისწინებს საქმიანობის ტიპის ცვლილებას. უახლოეს პერიოდში ჯგუფი აპირებს ახალი ფილიალების გახსნას, როგორც თბილისში ასევე საქართველოს სხვა ქალაქებში და არსებული ფილიალების გარემონტებას. ჯგუფი 2019 წელს ახალი ფილიალების გახსნიდან ვარაუდობს 962 ათასი ლარის შემოსავლის და 96 ათასი ლარის მოგების მიღებას, ხოლო 2020 წელს ახალი 4 251 ათასი ლარის შემოსავლის და 422 ათასი ლარის მოგების მიღებას.

ასევე ჯგუფი 2020 წელს გეგმავს ახალი ბრენდის - „მატალანი“-ს შემოყვანას საქართველოში, რომელიც საწყის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება 2 მაღაზიით, ამ ბრენდის შემოყვანით ჯგუფი გააფართოვებს თავის ე.წ. „ჰოუმ“-ის ხაზს, რომელიც ამ ეტაპზე წარმოდგენილი აქვს „ინგლიშ ჰოუმი“-ს სახით. ჯგუფი ვარაუდობს „მატალანის“ ბრენდის მაღაზიებიდან 2020 წელს 5 973 ათასი ლარის შემოსავლის და 298 ათასი ლარის მოგების მიღებას.

ჯგუფის ფილიალების საქმიანობა

ჯგუფი 2018 წელს წარმოდგენილი იყო 6 ბრენდით (Terranova, OVS, Penti, Collezione, English Home, Enza Home) და ჯამში 30 მაღაზიით (ფილიალით). ჯგუფი მუდმივად ზრუნავს ფილიალების საქმიანობის გაუმჯობესებაზე და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდაზე, რისთვისაც 2018 წელს ჯგუფმა EBRD-ისთან თანამშრომლობით განახორციელა ფართომასშტაბიანი რესტრუქტურის რეორგანიზაცია. რესტრუქტურის რეორგანიზაციის შედეგად განახლდა როგორც ე.წ. „ფრონტის“, ასევე ე.წ. „ბექის“ ფუნქციები და მოვალეობები.

შპს ჯითექსი**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება****2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****ათას ლარში**

ჯგუფს დაემატა მარკეტინგის მენეჯერის და HR კოორდინატორის ფუნქციები, რის შემდეგაც აქტიურად ტარდება სხვადასხვა ტრენინგები პროდუქციის ცოდნის გაუმჯობესებაზე, მომხმარებელთან ურთიერთობაზე, მერჩენდაიზინგზე და სხვა მსგავსი. იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს თანამშრომელთა საქმიანობა, ტრენინგებთან ერთად ჯგუფი აპირებს დანერგოს თანამშრომელთა შეფასების პოლიტიკა რისთვის მოხდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორების (CSF) და ძირითადი შესრულების ინდიკატორების (KPI) დანერგვა, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა. ჯგუფი ორიენტირებულია ფასეულობის ზრდასა და ეფექტიანობაზე, რაც თავის მხრივ განპირობებულია ფილიალების ეფექტიანი მუშაობით, შესაბამისად ფილიალების ანალიზის საფუძველზე ხდება არაეფექტიანი ფილიალების დახურვა, ასე მაგალითად ჯგუფი გეგმავს 2019 წელს სავაჭრო ცენტრ მერანში OVS Kids-ის მაღაზიის დახურვას, ასევე აქსისი სავაჭრო ცენტრში Collezione-ს მაღაზიის დახურვას, ხოლო 2020-ში დაგეგმილია სითი მოლში Collezione-ს მაღაზიის დახურვა. ფილიალების ეფექტიანობის განსაზღვრისთვის ჯგუფი ატარებს კვლევებს, რის შესახებაც ინფორმაცია მოცემულია აბზაცში „კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა“.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

მუდმივი გაუმჯობესების და განვითარების მიზნით ჯგუფი ატარებს სხვადასხვა კვლევებს.

2018 წელს ჯგუფმა გადაწყვიტა ჩატარებინა ბრენდის პოპულარობის კვლევა, ასევე განესაზღვრა მაღაზიებში შემსვლელი ადამიანების რაოდენობის და შემოსული ადამიანებიდან პროდუქტის მყიდველი ადამიანების რიცხოვნობა. ამისთვის ჯგუფმა გადაწყვიტა შეეძინა ძვირადღირებული მოწყობილობები, რომელიც ითვლის ადამიანთა ნაკადს, კერძოდ მაღაზიასთან გამვლელთა და მაღაზიაში შემომსვლელთა რაოდენობას, აღნიშნული მოწყობილობა ექსპლუატაციაშია ამ ანგარიშგების მომზადების მომენტისთვის, ხოლო კვლევა დასრულდება 2020 წელს.

იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის პოლიტიკაა მომხმარებელზე ზრუნვა და მომხმარებლის კმაყოფილების ზრდა, გადაწყდა ლოიალობის პროგრამის დანერგვა, რისთვისაც ჯგუფმა გამოიკვლია საქართველოში არსებული ლოიალობის პროგრამები, იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ფუნქციურად არიან ახლოს ჯგუფთან, მოხდა როგორც პირდაპირი კონკურენტების ასევე არაპირდაპირი კონკურენტების ლოიალობის პროგრამების კვლევა, შესწავლა, ანალიზი და შეძლებისდაგვარად დეტალური მიმოხილვა. ლოიალობის კვლევის მიმდინარეობის დროს ჯგუფის მთავარი მიზანი იყო შეჯერებულიყო ისეთი ტიპის პროგრამაზე, რომლის შედეგები ყველაზე მარტივად აღქმადი იქნებოდა მომხმარებლისთვის. ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში, ჯგუფის აქვს ძირითადი მონახაზი თუ როგორი უნდა იყოს მისი ლოიალობის პროგრამა და გადადის მისი დანეგვის ეტაპზე.

სამეურნეო, საბუღალტრო, საფინანსო და სხვადასხვა საოპერაციო ტრანზაქციების უკეთ აღრიცხვის, ანალიზისა და ფუნქციების ურთიერთ გამიჯვნის მიზნით, ჯგუფმა 2018 წელს დანერგა “SAP Business One” ERP (Enterprise resource planning) სისტემა.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის მიმდინარე აქტივები შეიცავს მარაგებს რომლის ღირებულებაც 2018 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 6 059 ათას ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5 805 ათას ლარს.

ჯგუფის მარაგების ბრუნვის კოეფიციენტმა, რომელიც დათვლილია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შეფარდებით საშუალო მარაგებთან, 2018 წელს შეადგინა 2.06, ხოლო 2017 წელს 2.18, ხოლო მარაგების გაყიდვისთვის საჭირო დღეების რაოდენობამ, რომელიც დათვლილია მარაგების ბრუნვის კოეფიციენტის დადარებით 365 დღესთან, შეადგინა 177 დღე 2018 წელს და 168 დღე 2017 წელს.

2018 წელს ჯგუფს ქონდა საკმაოდ ძლიერი საოპერაციო შედეგი, მისმა საერთო მოგებამ (რაც ჯგუფისთვის წმინდა გაყიდვების ტოლია) შეადგინა 13 759 ათასი ლარი, რაც წინა წლის შედეგის 13%-

შპს ჯითექსი**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება****2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****ათას ლარში**

იანია ზრდაა, რისი მიღწევაც შესაძლებელი გახდა მაღაზიების ოპტიმიზაციით, რაც გულისხმობს როგორც ახალი მაღაზიების გახსნას ასევე არაეფექტური მაღაზიების დახურვას.

საერთო მოგება ბრენდების ჭრილში წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ბრენდი	წმინდა გაყიდვები 2018	წმინდა გაყიდვები 2017
OVS	5,214	4,085
Penti	1,823	1,697
Collezione	954	948
Enza Home	818	650
English Home	106	121
Terranova	4,834	4,673

ჯგუფის საოპერაციო ხარჯები გაზრდილია წინა წელთან შედარებით რაც მეტწილად განპირობებულია ახალი მაღაზიების დამატებით, რამაც წარმოშვა დამატებითი იჯარის, კომუნალური და სახელფასო ხარჯები, ჯგუფი მოელის საოპერაციო მოგების გაუმჯობესებას 2019 წელს, იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის განმავლობაში ახალი მაღაზიების დამატებით მისაღები სრული შემოსავლის პოტენციალი არ იყო ათვისებული.

ჯგუფის მოგებამ დაბეგრვამდე, საპროცენტო ხარჯებამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე (EBITDA) 2018 წელს შეადგინა 3,784 ათასი ლარი, მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1%-ით.

ქვევით ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი, რომელიც დათვლილია წმინდა მოგების შეფარდებით საშუალო შეწონილ კაპიტალთან:

	2018	2017
წმინდა მოგება	1,409	1,360
წინა წლის საწესდებო კაპიტალი	7,198	5,839
მიმდინარე წლის საწესდებო კაპიტალი	8,607	7,198
საშუალო შეწონილი კაპიტალი	7,903	6,518
კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი	4.46%	5.21%

ჯგუფის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფი თავის რისკს განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერ პოტენციურ მოვლენას, რომელსაც შესაძლოა ქონდეს უარყოფითი გავლენა ბიზნესის მიზნებზე.

გარე რისკები

ყველაზე მნიშვნელოვანი გარე რისკი ჯგუფისთვის მიჩნეულია ვალუტის დევალვაციის რისკი, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის მომწოდებლები არიან უცხოური კომპანიები, ვალდებულებები მოწოდებიდან დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარში და ევროში, ჯგუფის მგრძნობელობა აშშ დოლარზე და ევროზე მათი 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში შეამცირებდა ან გაზრდიდა ჯგუფის წმინდა მოგებას 2018 წელს 299 ათასი ლარით და 1 462 ათასი ლარით შესაბამისად (2017: 837 ათასი ლარი, 1 329 ათასი ლარი შესაბამისად). ჯგუფი მეტად მგრძნობიარე კურსის ცვლილებასთან თავისი საოპერაციო სეზონების ბოლოს, როდესაც არ აქვს შესაძლებლობა შეცვალოს

შპს ჯითექსი**კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება****2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****ათას ლარში**

პროდუქციაზე ფასები, ამას ემატება სეზონის ფასდაკლებები, რისი შედეგიც არის ხოლმე მაღალი დანაკარგები.

ვალუტის დეველვაცია ასევე იწვევს ფასების ზრდას ძირითადი მოხმარების პროდუქციაზე, რაც ამცირებს მომხმარებლის მსყიდველობით უნარს, შესაბამისად იკლებს იმ თანხების რაოდენობა, რომელიც მომხმარებელმა შეიძლება გამოიყოს ჯგუფის პროდუქციის შეძენაზე.

კონკურენტები

ჯგუფის რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია კონკურენტების ბაზარზე გამოჩენიდან, თუმცა დღეს-დღეისობით ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დიდი კონკურენტის შემოსვლა ბაზარზე მოსალოდნელი არ არის, ყველაზე დიდი რისკი კომპნიის მომგებიანი ოპერირების დადგა 7 წლის წინ, როდესაც ბაზარზე შემოვიდა ისეთი ძლიერი კონკურენტი, როგორიც არის Alhok air ჯგუფი (ZARA, Massimo Dutti, Bershka, Stradivarius და სხვა) და 1 წლის წინ HM, თუმცა ჯგუფმა შეძლო შეენარჩუნებინა თავისი პოზიცია ბაზარზე.

კანონმდებლობა და რეგულაციები

ჯგუფი რისკებს და გაურკვევლობებს ასევე უკავშირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსს, რომელიც ხასიათდება საკმაოდ ხშირი ცვლილებით, კანონმდებლობას და სხვადასხვა რეგულაციებს. მაგალითად, ძალაში შევიდა საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რის შედეგადაც ჯგუფს გაეზრდება სახელფასო ხარჯი საპენსიო შენატანების შემოღების გამო და აღნიშნული ეფექტი აისახება ჯგუფის 2019 წლის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გეორგი ბასილაძე

შპს ჯითექსი
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ლარში

პროდუქციაზე ფასები, ამას ემატება სეზონის ფასდაკლებები, რისი შედეგიც არის ხოლმე მაღალი დანაკარგები.

ვალუტის დევალვაცია ასევე იწვევს ფასების ზრდას ძირითადი მოხმარების პროდუქციაზე, რაც ამცირებს მომხმარებლის მსყიდველობით უნარს, შესაბამისად იკლებს იმ თანხების რაოდენობა, რომელიც მომხმარებელმა შეიძლება გამოყოს ჯგუფის პროდუქციის შეძენაზე.

კონკურენტები

ჯგუფის რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია კონკურენტების ბაზარზე გამოჩენიდან, თუმცა დღეს-დღეისობით ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დიდი კონკურენტის შემოსვლა ბაზარზე მოსალოდნელი არ არის, ყველაზე დიდი რისკი კომპნიის მომგებიანი ოპერირების დადგა 7 წლის წინ, როდესაც ბაზარზე შემოვიდა ისეთი ძლიერი კონკურენტი, როგორც არის Alhok air ჯგუფი (ZARA, Massimo Dutti, Bershka, Stradivarius და სხვა) და 1 წლის წინ HM, თუმცა ჯგუფმა შეძლო შეენარჩუნებინა თავისი პოზიცია ბაზარზე.

კანონმდებლობა და რეგულაციები

ჯგუფი რისკებს და გაურკვევლობებს ასევე უკავშირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსს, რომელიც ხასიათდება საკმაოდ ხშირი ცვლილებებით, კანონმდებლობას და სხვადასხვა რეგულაციებს. მაგალითად, ძალაში შევიდა საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რის შედეგადაც ჯგუფს გაეზრდება სახელფასო ხარჯი საპენსიო შენატანების შემოღების გამო და აღნიშნული ეფექტი აისახება ჯგუფის 2019 წლის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

გიორგი ბასილაძე